

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი


ბატონო ბესიკ,

გიგზავნით, მიმდინარე წლის 24 მაისს მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმს.

დანართი: ოქმი №5-2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

რუსუდან გვარჯალაძე



მეოთხე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
საკრებულოს აპარატი

მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი №5

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 24.05.2018 წელი 12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვლადიმერ ნანაძე, სოფელ მაჩხვარეთის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ქურიძე, მერის წარმომადგენელი მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გოჩა ცინცაძე, მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ვადაჭკორია, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე ციციო ჩხაიძე, მერიის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნინო მშვიდლობაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მაია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის, პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი რუსუდან გვარჯალაძე

სოფელ მაჩხვარეთში შეხვედრა სოფლის ადმინისტრაციული შენობიდან დაიწყო, შეკრებილ მოსახლეობას სიტყვით მიმართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა, მან აღნიშნა რომ თითოეული ადამიანის პრობლემას ინდივიდუალურად გაეცნობა და შესაბამისად მოახდენს რეაგირებას. მერის წარმომადგენელმა მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გოდერძი ქურიძემ განაცხადა, რომ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ პირველ ეტაპზე სოფლის ტერიტორიის შეწამვლა დასრულდა, თუმცა დარჩენილია 8 ოჯახი რომელიც უნდა შეიწამლოს უმოკლეს ვადაში.

მერის წარმომადგენელმა მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გოჩა ცინცაძემ განაცხადა, ძირითადად პრობლემა ინფრასტრუქტურის კუთხითაა, თუმცა სოფელში დაწყებულია სანიღვრე არხების მშენებლობა, ასევე სოფელ ჯუნჯუათში პროექტით გათვალისწინებულია მილხიდის მშენებლობა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობის საჭიროებები მოისმინეს, რომელიც შიდა გზების, გაბიონების, მილხიდების და გარე განათების მოწესრიგების საკითხებს შეეხებოდა.

სოფლის მოსახლეობა ერთიანი განცხადების საფუძველზე ითხოვს ფერიცვალების ტაძრის გვერდით არსებული სტადიონის შეღობვა, მოწესრიგებას, სადაც სოფლის ახალგაზრდები თამაშობენ.

სოფლის ერთიანი მოთხოვნაა მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოზე გაკეთდეს წყალი და გარე განათება. ასევე მათი მოთხოვნაა ადმინისტრაციულ შენობაში, გაკეთდეს მედ პუნქტის ოთახი, სადაც სოფლის ექიმს შესაძლებლობა ექნება ადგილზე გასინჯოს პაციენტები, ამ ეტაპზე საჭიროა მხოლოდ სველი წერტილის მოწერიგება, რათა დაცული იქნეს ჰიგიენა.

ბიბლიოთეკარმა ლელა კვიციანი აღნიშნა რომ ადმინისტრაციულ შენობაში არსებული ბიბლიოთეკის ოთახი საჭიროებს კოსმეტიკური რემონტს.

მოქალაქე თამაზ ურუშაძემ მოსახლეობის სახელით ისაუბრა სოფელ ჯუნჯუათის ცენტრალური გზის პრობლემაზე, რომელიც მოსაწესრიგებელია და ასევე მან აღნიშნა რომ წყალსაცავთან არ არის გარე განათება, გასამაგრებელია იქ არსებული ხიდი.

დეპუტატმა გოდერძი ქურიძემ და ხელისუფლების წარმომადგენლებმა ერთად მოინახულეს აღნიშნული ობიექტები და ოჯახები, რომლებსაც ესაჭიროებათ დახმარება.

მოქალაქე დალი იმედაიშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს დაათვალიერებინა მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებლის სახლი, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია და წვიმის დროს წყალი ჩამოდის სახლის სახურავიდან.

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის განაცხადებით აღნიშნული პროცესის შესაჩერებლად, აუცილებელია სპეციალური სამუშაოების ჩატარება (სახურავის შეცვლა და გამაგრება).

მოქალაქე ლამარა წილოსანმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს დაათვალიერებინა საცხოვრებელი სახლი რომელიც მას დროებით სარგებლობაში აქვს. ის დაზიანებულია, მან ასევე განაცხადა რომ მოუხსნეს სოციალური დახმარება. სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა, თამარ ფირცხალაიშვილმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე შესაძლებელია აღნიშნული პიროვნების დახმარება მედიკამენტების პროგრამით შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

მოქალაქე ნუნუ სარიშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს დაათვალიერებინა საცხოვრებელ სახლთან არსებული მდგომარეობა, მან აღნიშნა რომ საჭიროა გაბიონის მშენებლობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

 ვლადიმერ ნანაიძე